ARTSTUDIO PROJECT

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს
ქ-ნ ნინო გვენცაძეს

თბილისი, 25 თებერვალი 2020

#6749430/02/20

მოგახსენებთ, რომ ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის კონცეფციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, განახლდა „ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში".

გიგზავნით „ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის" და ქ.ზუგდიდის გენერალური გეგმის კონცეფციის განახლებულ ვერსიებს. სკოპინგის ანგარიშის განახლებულ ვერსიაში განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები:

- გენერალური გეგმის კონცეფციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ანგარიშში დამატებული და დაზუსტებულია განვითარების ხედვები (იხილეთ თავი 4, გვ);
- შეცვლილია სკოპინგის ანგარიშის სტრუქტურა. ქვემოთ მოცემულია სკოპინგის ანგარიშის თავები და შესაბამის თავებში განხორციელებული ცვლილებების აღწერა:
  1. შესავალი (იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ.4);
  2. ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოს შესახებ (იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ.5);
  3. ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ (დამატებულია ხედვების სრული ჩამონათვალი; იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ 7);
  4. ქ. ზუგდიდის განვითარების ხედვა (დეტალურად არის განხილული შემოთავაზებული თითოეული ხედვა, იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ 9);
  5. პროექტის განხორციელების არეალის გარემოს ზოგადი დახასიათება (იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ 39);
  6. ალტერნატივების განხილვა ((იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ 69); განხორციელებულია მცირე ცვლილება 6.2 თავში.);
  7. გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები ((იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ.70); განხილულია ხედვების განხორციელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედებები და რეცეპტორები: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება; ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკები; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები; ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე; ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე; ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე; ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე; ზემოქმედება სოციალურ გარემოზე; ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება) ;

საქართველოს რეგიონალური
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 1593/01 "25.02.2020 წ.
ფურცელი

8. სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართება (იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ 78);
9. ზოგადი ინფორმაცია სგშ-ის პროცესში ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შესახებ (დამატებულია ხედვები და საბაზისო კვლევების შესახებ ინფორმაცია, იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ 81);
10. შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის საჭირო ღონისძიებები ((იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ.82); დამატებულია შემოთავაზებული განვითარების ხედვების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი გარკვეული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების (ხმაურის დონის გადაჭარბება, ატმოსფერული ჰაერის მტვრით დაბინძურება, ავარიული დაღვრები, ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება, მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმი და სხვა.) თავიდან აცილება/შემცირების ზოგადი შემარბილებელი ღონისძიებები);
11. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის სავარაუდო შინაარსი (შეცვლილია სგშ-ს სავარაუდო შინაარსი. იხ. სკოპინგის ანგარიში, გვ.85);

გთხოვთ, ადმინისტრაციული საქმის წარმოება განაახლოთ აღნიშნული თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე.

წერილს თან ერთვის: ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის კონცეფცია, ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში და ამ ანგარიშების ელექტრონული ვერსიები.

პატივისცემით

ირენე სკალვინი

შპს არტსტუდიო პროექტის დირექტორი

შპს არტსტუდიო პრტოექტი, ს/კ: 204489393
ქ.თბილისი, 0179, ბაგები, ზ.საკანდელიძის ქ. #3
ტელ: (99532) 2.915254
e-mail: info@artstudio.ge

Artstudio Project Ltd, ID:204489393
0179 Tbilisi, #3 Z. Sakandelidze Str.
Tel (99532) 2.915254
e-mail: info@artstudio.ge